ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N31

ქალაქი ბათუმი 30 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ბათუმის სასაფლაოები" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილინ დირექტორის ავთანდილ ბურკაძის სახით და მეორეს მხრივ „შპს ქედე" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ვახტანგ ქედელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და პრეტენდენტის შპს "ქედე"-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი: NAT180009909 კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45200000) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.1 ორივე მხარის წარმომადგენელი სრულად გაეცნო ხელშეკრულებას და ეთანხმება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა პირობას;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებას ქმნიან და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ შემდეგი დანართები:

ა) ხარჯთაღრიცხვა;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ტენდერის NAT180009909 სატენდერო დოკუმენტაციის ველში დანართის სახით განთავსებული დოკუმენტაციები, ასევე შედეგების ველში განთავსებული დოკუმენტაციები.

1.3. მიმწოდებელი თანხმდება შეუსრულოს შემსყიდველს სამუშაოები ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

1.5. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

2.2. „ხელშეკრულების საერთო ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

2.3. „შემსყიდველი" – ა(ა)იპ ,,ბათუმის სასაფლაოები";

2.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5 ..,,ზედამხედველი" - პირი, რომელიც ახორციელებს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოს შესრულების ტექნიკურ (საავტორო) ზედამხედველობას;

2.6. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

2.7. „სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი; 2.8. „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა" – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი ,,შესასრულებელი სამუშაოების

ხარჯთაღრიცხვა“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დაბა ჩაქვში ქალაქ ბათუმის ახალი სასაფლაოსათვის გარე წყალმომარაგების სამშენებლო სამუშაოების (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45200000) ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვა.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 87 196,61 (ოთხმოცდაშვიდი ათას ასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 61 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ცალკეული სამუშაოების დასახელება და ღირებულება განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით.

4.3. ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ამ „ხელშეკრულების“ პირობების გათვალისწინებით, წარმოდგენილი შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

4.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს, რომელთა გადახდაზე პასუხისგებელია მიმწოდებელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

5.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

5.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ერთჯერადად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით მიმწოდებელის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2), რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შემსყიდველის მიერ დანიშნული ტექნიკური (საავტორო) ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტის (გადახდის სერტიფიკატი) და შესრულებული სამუშაოების აქტზე (ფორმა #2) - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სხვა აკრედიტებული (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", პრეტედენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას)) პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის (რომლითაც უნდა დადასტურდეს აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ხარისხის შესაბამისობა ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

5.3. შესრულებული სამუშაოების ხარისხის გარანტიის დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5 %-ის დაკავებას. თანხის დაკავება იწარმოებს შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა #2), მიღება-ჩაბარების აქტსა (გადახდის სერტიფიკატის) და საგადასახადო ანგარიშფაქტურაში ნაჩვენები ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების პროპორციულად 5%-ის ოდენობით;

5.4. დაკავებული თანხის გადახდა მოხდება მხარეებს შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, როცა შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი დაამოწმებს, რომ შესრულებულ სამუშაოებში ხარვეზები არ მოიძებნა ან, ასეთების აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი აღმოფხვრილია. იმ შემთხვევაში თუ ობიექტზე გამოვლინდა დეფექტები და გამოვლენილი დეფექტების გამოსწორებას მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ან უარს განაცხადებს მათ აღმოფხვრაზე შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაფასოს დეფექტების აღმოფხვრისათვის გასაწევი ხარჯი და უზრუნველყოს დაკავებული თანხიდან მათი აღმოფხვრა. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელს აღარ დაუბრუნდება დაკავებული თანხიდან დეფექტების აღმოფხვრისათვის გაწეული შესაბამისი ოდენობის თანხა. თუ დეფექტების აღმოფხვრისათვის საჭირო თანხა აღემატება დაკავებულ თანხას, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული სხვაობის გადახდას.

5.5. თუ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შემსყიდველს წარედგინება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული რეზიდენტი ბანკის ბანკის (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის/დაწესებულების გაცემული დაკავებული თანხიდან შესაბამისი ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც 14 თვით უნდა აღემატებოდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღს და რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აძლევდეს უფლებას პირველივე მოთხოვნისთანავე გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან დაუყოვნებლივ, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველის მიერ განხორციელდება მიმწოდებელზე დაკავებული თანხიდან შესაბამისი ოდენობის დაბრუნება;

6. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა დასტურდება შემსყიდველის უფლებამოსილი პირ(ებ)ის - საავტორო (ტექნიკური) ზედამხედველის მიერ;

6.2. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება იწარმოებს ერთჯერადად, საავტორო (ტექნიკური) ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2), მიღება-ჩაბარების აქტის (გადახდის სერტიფიკატის), შესრულებული სამუშაოების აქტზე (ფორმა #2) - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სხვა აკრედიტებული (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", პრეტედენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას) პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის (რომლითაც უნდა დადასტურდეს აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ხარისხის შესაბამისობა ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის გზით.

6.3. თუ ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირ(ებ)მა შესრულებული სამუშაოები შეაფასა წუნით, მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად წუნდების აღმოფხვრამდე და შესაბამისად, არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა;

6.4. წუნდების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით გონივრულ ვადაში;
6.5. წუნდებული სამუშაოების აღმოფხვრა დასტურდება ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ;

7. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

7.1. სამუშაოს შესრულების ადგილია ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი, ქ. ბათუმის ახალი სასაფლაო.
7.2 სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე.

8. სამუშაოთა წარმოების წესი და ტექნიკური ზედამხედველობა

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად, სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების და შემსყიდველის და ტექნიკური ზედამხედველის მოთხოვნების შესაბამისად.
8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ობიექტზე დანიშნოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.
8.3. შემსყიდველის მიერ დანიშნული ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ახორციელებს მშენებლობის პროცესის მიმდინარეობის სრულ ზედამხედველობას და ინსპექტირებას, კერძოდ:
ა) შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შემოწმებას და დადასტურებას;
ბ) სამუშაოების წარმოების სახელშეკრულებო ვადების დაცვის კონტროლს;
გ) სამუშაოების წარმოების პროცესში სამშენებლო ნორმების, ტექნიკური პირობებისა და მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობის შესრულების დაცვის კონტროლს;
დ) გამოსაყენებელი მასალების პროექტთან და მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დამოწმებას;
ე) ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პუნქტის, მათ შორის ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრულ პირობების სათანადო დაცვას;
ვ) სამშენებლო მასალებისა და შესრულების ხარისხის კონტროლს (ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე), საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და მსგავსი სამუშაოებისათვის სტანდარტებით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დამოწმებას;
ზ) ისეთი სამუშაოებისა და კონსტრუქციული ელემენტების დამოწმებას, შეფასებასა და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობის მიღებას, რომლებიც დაიფარებიან შემდგომი სამუშაოების შესრულების შედეგად;
თ) სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევების კონტროლს და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობას;
ი) სამშენებლო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლს;
კ) სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მითითებებისა და მიწერილობების, აგრეთვე იმ მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს, რომლებიც მიეკუთვნება სამუშაოების ხარისხის, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების, ცალკეული სამუშაოების დეფექტებისა და ნაჯლოვანებების აღმოფხრვის საკითხებს;
8.4. შემსყიდველის უფლებამოსილ პირ(ებ)ს - ტექნიკურ ზედამხედველს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს მშენებელი ორგანიზაციისაგან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და აუცილებელი სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოება;

ბ) არ მიიღოს საპროექტო დოკუმენტაციის დარღვევით ან გადახვევით წარმოებული სამუშაოები, უარყოს დაუდასტურებელ სამშენებლო სამუშაოებზე ანგარიშსწორების დოკუმენტის დადასტურება და მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტის კორექტირება;
გ) აკრძალოს სამშენებლო ობიექტზე უხარისხო სამშენებლო მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და საშენი დეტალების გამოყენება;
დ) გასცეს მითითება და მოითხოვოს უხარისხოდ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამოსწორება;
8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია გაზარდოს ან შეამციროს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შეიტანოს ცვლილებები პროექტში (ხარჯთაღრიცხვაში) ჩამოთვლილ სამუშაოთა აღწერილობაში. ასეთი ცვლილებების თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
9.2. შემსყიდველი ვალდებულია:
9.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;
9.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.
9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.
9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
9.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
9.4.2. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სათანადო ხარისხითა და იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;
9.4.3. გაითვალისწინოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ის და შემსყიდველის მიერ მითითებული ინსტრუქციები და შენიშვნები;
9.4.4. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოებში აღმოჩენილი ხარვეზი.

10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირი/პირები.
10.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების და მისი დანართების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.
10.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. მიმწოდებელს 7.2. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით.
11.2. 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.4. შემსყიდველი დარიცხული პირგასამტეხლოს თანხის დაკავებას ახორციელებს ტექნიკური ზედამხედველის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა აღემატება მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, მიმწოდებელი ვალდებულია პირგასამტეხლოს თანხა ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეტყობინების მიღებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში.

11.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმიწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ: ა) თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; ბ) თუ ხელშეკრულების 11.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,4%-ს; გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.2. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 13.1. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

13.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.4 ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება შესასრულებელ სამუშაოთა დაგეგმილ ვადაში

დასრულებას და არ იფარება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიითა და პირგასამტეხლოს თანხით;

14. გარანტია

14.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები და ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ სამშენებლო წესებსა და ნორმებს.

14.2. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 24 თვეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

14.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მიცემულ ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზის/წუნის აღმოფხვრა, სრული მოცულობით აანაზღაუროს როგორც შესაბამისი ხარჯები, ასევე, ხარვეზის/წუნის შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

14.4. მიმწოდებლის მიერ 14.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ხარვეზის/წუნის აღმოფხვრისათვის შესაბამისი ზომები და შემდგომ, მიმწოდებელს მოთხოვოს ხარვეზის/წუნის აღმოფხვრისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

15. დაუძლეველი ძალა

15.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

15.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

15.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ.

15.4. 15.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15.6. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

გვერდი

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში გასაფორმებელი ქვეკონტრაქტ(ებ)ის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ორმოც პროცენტს.

17.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.5 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17.6. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

17.8. უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტი ენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს.

17.9. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბათუმის სასაფლაოები“	შპს „ქედე“
მისამართი:ქ. ბათუმი. ლუკა ასათიანის ქ.№25	მისამართი: ხულო სოფ.ქედლები
ელფოსტა: batumissasaflaoebi@gmail.com	ელ.ფოსტა:tembeshumi@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა	სს "თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი – – TRESGE22	ბანკის კოდი –TBCBGE22
ა/ნ –	ა/ნ –GE49TB7722136050100001
საიდენტიფიკაციო კოდი -445413516	საიდენტიფიკაციო კოდი -448051107

დირექტორი

ავთანდილ ბურკაძე

დირექტორი

ვახტანგ ქედელიძე

შპს "ქედე"

ს/კ 448051107
30/07/ 2018 წელი

მინდობილობა

მე, შპს **„ქედე"**- ს,ს/კოდი:448051107, დირექტორმა **ვახტანგ ქედელიძე**,როგორც მარწმუნებელმა, წინამდებარე მინდობილობა გავეცი **თემურ ქედელიძეს,** დაბადებული 1967 წლის 30 აპრილს, მცხოვრები **ქ. ბათუმი, 9 მარტის ქუჩა № 18,პ/№: 61001024646,** შემდგომში მოხსენიებულია, როგორც რწმუნებული, მასზედ, რომ **თემურ ქედელიძე** უფლებამოსილია შპს **„ქედე"**- ს სახელით შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ფირმის საქმიანობასთან, კერძოდ:

ხელშეკრულება გააფორმოს ბათუმის სასაფლაოებთან კერძოდ, დაბა ჩაქვში ქალაქ ბათუმის ახალი სასაფლაოს გარე წყალმომარაგების სამშენებლო სამუშაოებზე. ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტს.

მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით 2019 წლის 30 ივლისამდის.

შპს **„ქედე** -ს

დირექტორი: ვ.ქედელიძე

ქედე QEDE 448051107 GEORGIA. LTD

ქ. ბათუმი, 30 ივლისი 2018 წ.



Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO

სახელი / FIRST NAME
თემურ
TEMUR

გვარი / LAST NAME
ქედელიძე
KEDELIDZE

მოქ. / CIT. GEO
სქესი / SEX კმ / M
პირადი No / PERSONAL № 61001024646

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH 30.04.1967
მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY 24.06.2023

ბარათის No / CARD No 12ID82221

ხელმოწერა SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ხულო
KHULO

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
24.06.2013

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGEO12ID82221961001024646<<<<
6704300M2306245GEO<<<<<<<<<<<2
KEDELIDZE<<TEMUR<<<<<<<<<<<<<<